სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო

საბჭო

2021 წლის 6 ივლისის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბ-ნი ნიკოლა ფაბიანო- პრეზიდენტი, ბ-ნი უმბერტო რაპეტო- ვიცე-პრეზიდენტი, ქ-ნი პატრიცია გიგანტე საბჭოს წევრი და დირექტორი ქ-ნი მარია სკიარინო.

2021 წლის 31 მარტს კომპანია "Facebook Ireland Ltd."-ის მიმართ დაიწყო ინსპექტირება, რის საფუძველზე მას დაევალა დეტალური ინფორმაციის გაცემა რიგ საკითხებზე „ფიზიკური პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" No. 171/2018, კერძოდ, მე-4, მე-5, 35-ე, 58-ე, 59-ე, 72-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად.

კანონის (№ 171/2018) მე-7 მუხლი ინფორმაციული საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებით ბავშვის თანხმობის პირობების შესახებ მიუთითებს, რომ:

1. მომსახურების პირდაპირ არასრულწლოვნისთვის შეთავაზების შემთხვევაში, არასრულწლოვანის პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერად მიიჩნევა, თუ არასრულწლოვანი სულ მცირე 16 წლისაა. თუ არასრულწლოვანს არ შესრულებია 16 წელი, ასეთი დამუშავება კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცემულია ან დამუშავება ნებადართულია მშობლის უფლების მქონე პირის მიერ.
2. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიმართოს გონივრულ ზომებს, რათა გადაამოწმოს ბავშვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ გაცემული თანხმობა არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით.
3. ნებისმიერი კომუნიკაცია და ინფორმაცია უნდა იყოს ბავშვისთვის გასაგები და მარტივი ენით ჩამოყალიბებული.

ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისების უშუალოდ ბავშვისთვის შეთავაზების შემთხვევაში, არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია, როდესაც ბავშვი არის არანაკლებ 16 წლის. თუ ბავშვი 16 წელს მიუღწეველია, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობა გაცემულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენელის მიერ. ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის გამოყენებით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გამოიყენოს გონივრული ძალისხმევა, რათა შეძლოს თანხმობის ნამდვილობის დადასტურება, რომ იგი გაცემულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

„Facebook Ireland Ltd." წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და ევროპის მასშტაბით სერვისის მიმწოდებელს "Facebook"-ისა და "Instagram"-

ის მომხმარებელთათვის, მათ შორის, სან-მარინოში. იქიდან გამომდინარე, რომ “Facebook Ireland Ltd.”-ს დაფუძნების ადგილია ირლანდია, იგი მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციას 2016/679 (“GDPR”) ექვემდებარება და ირლანდიის მონაცემთა დაცვის ორგანოს ("IDPC") ზედამხედველობის ქვეშ ფუნქციონირებს.

კომპანია “Facebook Ireland Ltd.” მოქმედებს როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი.

ირლანდიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, “Facebook”-ისა და “Instagram”-ის სერვისებით მიწოდება დასაშვებია სულ მცირე 13 წლის ასაკს მიღწეული პირებისთვის. აღნიშნულის შესაფასებლად, “Facebook Ireland Ltd.” იყენებს ასაკის შემოწმების სხვადასხვა მექანიზმს.

“Facebook Ireland Ltd.” მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიების განვითარებისა და ინდუსტრიის სტანდარტების გათვალისწინებით, ასაკის გადამოწმების მეთოდები “Facebook”-სა და Instagram-ზე სათანადო და ადეკვატურია. თუმცა, ასაკის ზუსტი დადასტურება ონლაინ სივრცეში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც, მაგალითად, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნიათ. აღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს მთელს ინდუსტრიაზე.

ახალი მომხმარებლებისთვის ასაკის დადასტურებამ დამატებითი სირთულე ან დაბრკოლება შეიძლება გამოიწვიოს, რადგან ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებები, როგორიცაა: მოდელირება ან მანქანური სწავლება, სერვისთან მომხმარებლის ურთიერთქმედების ანალიზით შეიძლება ეფექტიანი იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ონლაინ სერვისს პოტენციური ახალი მომხმარებლის შესახებ ან მხოლოდ მცირე ინფორმაცია გააჩნია (ან სულაც არანაირი). მიუხედავად აღნიშნულ საკითხზე უკვე წარმოებული კვლევებისა, ცხადია, რომ არ არსებობს ცალსახა პასუხები და ერთგვაროვნად ეფექტიანი (ან ერთმნიშვნელოვანი) გადაწყვეტილებები.

ასაკის გადამოწმების საკითხს კომპლექსურად აფასებენ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები. ირლანდიის მონაცემთა დაცვის კომისია (“IDPC”) აღიარებს, რომ ასაკის გადამოწმების ინსტრუმენტები ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შესაბამისად, ამ სფეროში ინდუსტრიამ უნდა გააგრძელოს ინოვაციების შემუშავება. ანალოგიურად, 2020 წლის სექტემბრიდან გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისრის ოფისი (“ICO”) აღნიშნავს, რომ ასაკის გადამოწმების უზრუნველყოფის მექანიზმები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს სერვისის სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი და დაცული იყოს კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების ზომები.

აღსანიშნავია, რომ “Facebook Ireland Ltd.”-მ საზედამხედველო ორგანოს არ მიაწოდა ბავშვთა ასაკის შემოწმების მეთოდებთან დაკავშირებით ტექნიკური ინფორმაცია, ასევე, იმ პირთა წრის შესახებ, რომლებსაც პლატფორმაზე წვდომა აქვთ.

სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ “Facebook Ireland Ltd.”-მა არ მიიღო სპეციალური ზომები 16 წლამდე ასაკის მომხმარებელთა ვერიფიკაციისთვის, რის საფუძველზეც დაირღვა კანონის (171/2018) მე-7 მუხლი.

73-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი სანქციის განსაზღვრის მიზნით, საზედამხედველო ორგანომ შეაფასა შემდეგი გარემოებები:

ა) დარღვევის ბუნების, სიმძიმის, ხანგრძლივობის, დამუშავების ბუნების, ფარგლების ან მიზნის, ასევე, დაზარალებული მონაცემთა სუბიექტების რაოდენობისა და მიყენებული ზიანის დონის გათვალისწინებით, საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ მისი იურისდიქციის ფარგლებში, 16 წლამდე ბავშვების უმრავლესობა უკვე იყენებს “Facebook“-ს ან შეუძლია პლატფორმაზე რეგისტრაცია. აღნიშნული მდგომარეობა უკიდურესად სავალალოა და ხაზს უსვამს ბავშვთა უფლებათა დაცვის პრობლემებს;

ბ) დარღვევასთან დაკავშირებული ბრალი — განზრახვა ან გაუფრთხილებლობა. საზედამხედველო ორგანო მიიჩნევს, რომ “Facebook Ireland Ltd.”-ის ქმედება უნდა იყოს დაკვალიფიცირებული, როგორც გაუფრთხილებლობა (*negligent*), რადგან მან ვერ შეიმუშავა ადეკვატური სისტემა ბავშვების ასაკის შესამოწმებლად;

გ) მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ზიანის შესამსუბუქებლად — აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, საზედამხედველო ორგანო მიუთითებს, რომ “Facebook Ireland Ltd.“ მიერ გამოგზავნილ დოკუმენტებში არ არის აღნიშნული იმგვარი ღონისძიების მიღების ფაქტი, რომელიც მონაცემთა სუბიექტებისთვის მიყენებულ ზიანს შესამცირებდა;

დ) მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის ხარისხი კანონის 27-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად განხორციელებული ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გათვალისწინებით — საკითხთან დაკავშირებით საზედამხედველო ორგანო მიიჩნევს, რომ კომპანია “Facebook Ireland Ltd.” სრულად არის პასუხისმგებელი საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების შეუსრულებლობაზე;

ე) მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი, დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევის შესაძლო უარყოფითი შედეგების

შესამცირებლად — გარემოებასთან დაკავშირებით, დადებითად შეფასდა “Facebook Ireland Ltd.”-ის თანამშრომლობა საზედამხედველო ორგანოსთვის გამოთხოვილი დოკუმენტების გაგზავნის ნაწილში;

ვ) დარღვევით დაზარალებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები — ამ შემთხვევაში საქმე ძირითადად არ შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს;

ზ) საზედამხედველო ორგანოსთვის სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მოპოვება — საზედამხედველო ორგანომ დაიწყო საკითხის წინასწარი შესწავლა. თუმცა, დოკუმენტებიდან ჩანს, რომ “Facebook Ireland Ltd.”-მ იცოდა აღნიშნულის შესახებ, მაგრამ არ იქნა განხორციელებული რაიმე კონკრეტული ღონისძიება;

კანონის (№171/2018) 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, “Facebook Ireland Ltd.”-ს, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, დაევალა გასწიოს გონივრული ძალისხმევა, რათა გადაამოწმოს ბავშვის თანხმობასთან დაკავშირებული ნების გამოვლენის ნამდვილობა არსებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით.

ამასთან, საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, “Facebook Ireland Ltd.” დაჯარიმდა კანონის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევისთვის. კანონის 33-ე მუხლის დარღვევისთვის ჯარიმა, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტით, გათვალისწინებულ გარემოებებზე დაყრდნობით, შეადგენს 1 000 000 ევროს.

სან-მარინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ

დაადგინა:

№171/2018 კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის “დ” პუნქტის შესაბამისად, “Facebook Ireland Ltd.”-მა, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, გონივრული ძალისხმევის გაწევით დაადასტუროს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რომელიც მიღებულია 16 წლამდე ასაკის ბავშვების მაგივრად და წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს შვიდი დღის ვადაში.

ასევე, დაადგინა:

“Facebook Ireland Ltd.”-ს, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა 1 000 000 ევროს ოდენობით კანონის 59-ე

მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ჯარიმის გადახდის ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს, რომელიც აითვლება შეტყობინების ფაქტიდან.

ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს საბანკო გადარიცხვის გზით.

დაადგინა:

აღრიცხოს გადაწყვეტილება ორგანოს შიდა რეესტრში და გამოქვეყნდეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია კანონის 70-ე მუხლით დადგენილი წესით. გასაჩივრებით არ ჩერდება გადაწყვეტილების აღსრულება.